

ქ. ბათუმის მერის ანგარიში  
13 ნოემბერი 2017 – 28 თებერვალი 2018

სისტემური ცვლილებები თვითმმართველობაში

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018 – 2021 წლების განვითარების სტრატეგია და სამუშაო გეგმა

- ✓ **შედეგი #1:** ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის 2018-2021 წლების განვითარების სტრატეგია და სამუშაო გეგმა მომზადებულია.
  - სტრატეგიას საფუძვლად დაედო 2017 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე მერობის კანდიდატის (ლაშა კომახიძის) მიერ წარდგენილი პროგრამა;
  - დოკუმენტი წარმოადგენს მერიისა და მისი სისტემის ორგანიზაციების სახელმძღვანელო დოკუმენტს. მასში დასახული მიზნები და ამოცანები გაწერილია დროში და კონკრეტულია, ისევე, როგორც კონკრეტულია ამ მიზნების მიღწევისათვის დაგეგმილი ღონისძიებები, მათი ეფექტურობის შეფასება, რისკები და ამ რისკების მართვის მექანიზმები;
  - სტრატეგია წარმოადგენს შესანიშნავი კონტროლის მექანიზმს საზოგადოებისთვის. ეს არის საშუალება სხვადასხვა პროფესიული, არასამთავრობო თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციების შეიტანონ საკუთარი წვლილი დოკუმენტის სრულყოფაში და ამგვარად შეიტანონ წვლილი ჩვენი ქალაქის უკეთეს მომავალში. სტრატეგიაში დეკლარირებული მიზნები კონტროლირებადია რაოდენობრივი თუ ხარისხობრივი კრიტერიუმებით;
  - მოცემული დოკუმენტი წარმოადგენს პლატფორმას მუნიციპალიტეტისა და მოქალაქეების ურთიერთობებისთვის, სადაც მერია მუდმივად ანგარიშვალდებულია საზოგადოების წინაშე და პასუხისმგებელი საკუთარ ქმედებებზე კონკრეტული გეგმით;
  - სტრატეგია საჯაროდ ხელმისაწვდომია. უახლოეს დღეებში ის მიეწოდება განხილვისთვის ქ. ბათუმის საკრებულოს. გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინებით საკრებულოს ეთხოვება იმსჯელოს სტრატეგიის დამტკიცებაზე.

## მოქალაქეებზე ორიენტირებული საბიუჯეტო სისტემის ჩამოყალიბება

- ✓ **შედეგი #2:** მომზადებულია ამხანაგობათა საუბნო კავშირების ჩამოყალიბების ტექნიკური დავალება; მომსახურების შესყიდვის მიზნით, ჩატარებულია ტენდერი; პროგრამის განხორციელება წარმატებით მიმდინარეობს.
  - პროგრამის ძირითადი მიზანია, შექმნას ბიუჯეტირებისა და მოქალაქეთა თვითმმართველობაში ჩართულობის ახალი ვერტიკალი, სადაც საჭიროებების და ინიციატივების საფუძველი არის საზოგადოება, ხოლო მუნიციპალიტეტის სამსახურები უზრუნველყოფს ამ საჭიროებების ტრანსფორმირებას შესაბამის ტექნიკურ, საპროექტო და ფინანსურ დოკუმენტაციებში, ისევე როგორც მათ საბოლოო ასახვას ბიუჯეტში;
  - ამხანაგობათა საუბნო კავშირებით ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით, უბნებში, ამხანაგობებში არსებული სხვადასხვა სახის პრობლემები ორგანიზებული და შესაბამისად დამუშავებული სახით შემდგომი რეაგირებისთვის მიეწოდება მერიის სამსახურებს;
  - მოცემული პროგრამით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში უზრუნველყოფილი იქნება თითოეული ადმინისტრაციული ერთეულის მიხედვით კეთილმოწყობის, ინფრასტრუქტურული და სხვა ტიპის საკითხების მოსაგვარებლად თანხების გათვალისწინება. ასეთი მიდგომა მეტად დაბალანსებული ბიუჯეტის გარანტიაა, სადაც ქალაქის სტრატეგიული პროექტების პარალელურად, სათანადო ყურადღება დაეთმობა მოსახლეობის მიმდინარე საჭიროებებს.

## მერიის ეფექტურობის ზრდა და ინსტიტუციური გაძლიერება

### ქ. ბათუმის მერიის განახლებული სტრუქტურა და ორგანიზაციული მოწყობა

- ✓ **შედეგი #3:** შემუშავებულია ქ. ბათუმის მერიის ახალი სტრუქტურა და ორგანიზაციული მოწყობის მოდელი.
- ✓ **შედეგი #4:** მომზადებულია განახლებული სტრუქტურული ერთეულების დებულებები, ასევე მათი საშტატო ერთეულების ფუნქცია-მოვალეობები;
  - ქ. ბათუმის მერიის 2018-2021 წლების სტრატეგიისა და სამუშაო გეგმის განხორციელებას სჭირდება მერიის შესაბამისი სტრუქტურული და ორგანიზაციული მოწყობა. არსებული სისტემა ა) ვერ უზრუნველყოფდა სტრატეგიაში დასახული მიზნების ეფექტურ შესრულებას; და ბ) წარმოადგენდა არაეფექტურ მოდელს, როგორც შრომის განაწილების, ასევე გაწეული დანახარჯების თვალსაზრისით. შესაბამისად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მერიისა და მისი სისტემის ორგანიზაციებში სტრუქტურული და ორგანიზაციული ცვლილებების შესახებ.
  - ახალი სტრუქტურის პირობებში: მერს ყავს ერთი ვიცე-მერი და ორი მერის მოადგილე. მერია წარმოდგენილია ცხრა სამსახურის სახით.
  - მნიშვნელოვანი სტრუქტურული და ორგანიზაციული ცვლილებები შემდეგია:
    - შეიქმნა ახალი სამსახური რომელიც არასოდეს მანამდე მუნიციპალურ სტრუქტურაში არ ყოფილა. ეს არის მუნიციპალური პოლიტიკის სამსახური. სამსახური შედგება ოთხი განყოფილებისაგან: მუნიციპალური პოლიტიკის დაგეგმვის, რისკების მართვისა და მონიტორინგის განყოფილებისგან; საქალაქო ტრანსპორტისა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პოლიტიკის განყოფილებისაგან; საინვესტიციო პოლიტიკისა და საგრანტო პროგრამების მართვის განყოფილებისგან; და ნარჩენების მართვისა და ეკოლოგიური უსაფრთხოების პოლიტიკის განყოფილებისაგან.
    - ცალკე სამსახურის სახით გაუქმებულია ზედამხედველობა. ის ახალ სტრუქტურაში წარმოდგენილია განყოფილებებით სხვადასხვა სამსახურებში. კერძოდ, საპროექტო და სამშენებლო ზედამხედველობის განყოფილება - ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურში; ადმინისტრაციული ზედამხედველობის განყოფილების სახით - მუნიციპალური ქონებისა და სერვისების მართვის სამსახურში; და სანიტარული ზედამხედველობის განყოფილების სახით - ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურში. ამგვარად, თითოეული განყოფილების ადგილი მისი შინაარსით, ფუნქციური

დატვირთვით, ანგარიშვალდებულებისა და ეფექტურობის ნიშნით არის განსაზღვრული. ეს ასევე ამცირებს სამსახურის როგორც მთლიანი ერთეულის არაეფექტური მუშაობის რისკს;

- კეთილმოწყობის სამსახური, ასევე, აღარ არის ცალკე სამსახურის სახით. მერიის სისტემის სხვა ორგანიზაციებთან, კერძოდ, ააიპ ბათუმის კორპუსსა და ააიპ ტურისტული ინფრასტრუქტურის მართვის სააგენტოსთან შეერთებით ჩამოყალიბდება ახალი ერთეული - შპს ქალაქის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო. ჩამოთვლილი ორგანიზაციების შერწყმა ნაკარნახებია შემდეგი მოსაზრებებით: თითოეული მათგანის ფუნქცია მონათესავეა და რეალურად წარმოადგენს ერთი ორგანიზაციის საქმეს; არ არის არავითარი საჭიროება ამ ერთეულების ცალ-ცალკე ფუნქციონირებისა და შესაბამისი დამატებითი ადმინისტრაციული ხარჯების გაწევისა; თითოეული ორგანიზაციის საქმიანობა გაერთიანების შემდეგ გაცილებით ეფექტური გახდება როგორც შესრულებული სამუშაოს ხარისხის ასევე ხარჯების ეფექტურობის თვალსაზრისით.
  - მუნიციპალური ქონებისა და სერვისების მართვის სამსახური სახეცვლილი ფუნქციების და განყოფილებების სახით ჩამოყალიბდა. სიახლეა სამსახურში ადმინისტრაციული ზედამხედველობის განყოფილების და მუნიციპალური ორგანიზაციების და სერვისების კოორდინაციის განყოფილების შექმნა.
  - ოპტიმიზაცია შეეხო მერიის სხვა სამსახურებსაც რაც გულისხმობს მათი ცალკეული შემადგენელი განყოფილებების ფუნქციების სახეცვლილებას, შერწყმას ოპტიმიზაციის მიზნით თუ გადასვლას სხვა სტრუქტურულ ერთეულებში.
  - რწმუნებულთა ინსტიტუტი ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით გაუქმებულია. შეიქმნება ახალი ა(ა)იპ - მუნიციპალური სერვისების სააგენტო, სადაც მოქალაქეთა საკითხებზე, ასევე, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მიერ დაფიქსირებულ პრობლემურ საკითხებზე რეაგირებისთვის, მათი ეფექტურად მოგვარების, პრობლემების დამუშავებისა და ბიუჯეტში ასახვის მიზნით, ქალაქის მასშტაბით, ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით შეიქმნება და იმუშავებს 14 სერვის ცენტრი.
  - სტრუქტურაში, შპს ქალაქის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურს ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით ეყოლება განყოფილებები, რომლებიც უშუალოდ იქნება კავშირში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობათა თავჯდომარეების გაერთიანებებთან მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და სამეურნეო პრობლემების აღრიცხვის, ბიუჯეტში ასახვისა და შესაბამისი რეაგირების მიზნით. მოცემული ა(ა)იპ წარმოადგენს მოქალაქეზე ორიენტირებული საბიუჯეტო სისტემის ჩამოყალიბების ნაწილს.
- მოცემული სტრუქტურული და ორგანიზაციული ცვლილებების საფუძველზე მიმდინარეობს რეორგანიზაციის პროცესი. მიმდინარე ეტაპზე, განისაზღვრა ვაკანტური პოზიციები და მზადდება საკონკურსო თემატიკა, კომისიები და ა.შ.
  - ზემოთ აღწერილი პროცესები პირდაპირ კავშირშია ახალი სტრუქტურით განსაზღვრული ერთეულების და მათი თანამშრომლების ფუნქცია მოვალეობებისა და ვალდებულებების ცვლილებებთან. შესაბამისად, იცვლება დებულებებიც. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაანალიზებული და მომზადებულ იქნა ცალკეული სამსახურების ოპერაციები, ხოლო შედეგების საფუძველზე მომზადდა ახალი დოკუმენტაცია.
  - თანამშრომელთა ახალი ფუნქცია-მოვალეობების საბოლოო ჩამოყალიბებაზე მნიშვნელოვნად მოქმედებს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის სამუშაო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სტრატეგიულ დოკუმენტში მოყვანილი მიზნების დაყვანას თითოეულ სამსახურზე.

**ცვლილებები მერიის სისტემის ორგანიზაციებში (მერიას დაქვემდებარებულ ააიპ-ებსა და შპს-ებში):**

- ✓ **შედეგი #5:** ადმინისტრაციული და ფინანსური რესურსების ოპტიმიზაციის მიზნით, დაიწყო ოთხი ა(ა)იპ-ის ლიკვიდაცია. ხოლო მათი ფუნქციები მსხვილდება და გადანაწილებულია.
- ✓ **შედეგი #6:** ლიკვიდირებული ორგანიზაციების, ასევე, მერიის სტრუქტურიდან ცალკეული სამსახურების და ფუნქციების გადანაწილების შედეგად, შეიქმნა ორი ახალი ორგანიზაცია: ა) საქალაქო ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამმართველო; და ბ) მუნიციპალური სერვისების სააგენტო.

მერიის სისტემის ორგანიზაციების ეფექტური მუშაობის უზრუნველყოფისთვის მერიის სისტემის ააიპებსა და შპს-ებთან მიმართებაში გატარებულია რეორგანიზაცია. კერძოდ:

- ლიკვიდაციაზეა ააიპ ავტოდრომი, ხოლო მისი ფუნქციები გადაეცა ააიპ სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრს;
- ლიკვიდაციაზეა ააიპ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის სააგენტო, ხოლო მისი ფუნქციები გადაეცა ნაწილობრივ შპს ავტოტრანსპორტს, ხოლო ნაწილობრივ შპს ქალაქის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურს;
- ლიკვიდირებული იქნება ააიპ ტურისტული ობიექტების მართვის სააგენტო და ააიპ ბათუმის კორპუსი, ხოლო მათი ფუნქციები გადაეცემა ახალ შპს ქალაქის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურს, რომელშიც ასევე გაერთიანდება მერიის კეთილმოწყობის სამსახური;
- ააიპ ტურისტული ობიექტების მართვის სააგენტოს ლიკვიდაციის შედეგად, ზოოპარკი გადაეცემა შავი ზღვის ფლორისა და ფაუნის შემსწავლელ სამეცნიერო კვლევით ცენტრს;

გატარებული ცვლილებების შედეგად მნიშვნელოვნად იზრდება მერიის სისტემის ორგანიზაციების ეფექტურობა და ასევე მნიშვნელოვნად მცირდება მათ მუშაობასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული ხარჯები.

**შედეგი #7:** მერიის სისტემის ორგანიზაციებში განხორციელებული ცვლილებების შედეგად ადმინისტრაციული ხარჯი შემცირდა 700.000 ლარით

**ცვლილებები ადმინისტრაციული რესურსების განკარგვაში**

- ✓ **შედეგი #8:** ადმინისტრაციული რესურსების ეფექტურად განკარგვის მიზნით, ცვლილებები იქნა შეტანილი მერიის ავტომანქანებისა და საწვავის განკარგვის წესში. კერძოდ, გატარებული ცვლილების შედეგად 73 400 ლარით (40%) შემცირდა საწვავზე განკუთვნილი წლიური ხარჯი.
- განისაზღვრა მერიის საკუთრებაში არსებული ავტომანქანების განაწილება სამსახურების მიხედვით, ასევე განისაზღვრა ამ ავტომანქანების განკარგვის წესი. ახალი წესის თანახმად მერიის ავტოპარკის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ სამუშაო საათების პერიოდში, ხოლო სამუშაო საათების დასრულების შემდეგ ავტომანქანები უნდა განთავსდეს მითითებულ სადგომებზე. ზედამხედველობისა და კეთილმოწყობის სამსახურის თანამშრომელთათვის განსაზღვრულია ორი მორიგე ავტომანქანა მათი არასამუშაო საათებში გამოყენებისთვის;
- მერიის ავტომანქანები აღიჭურვა ჯი-პი-ეს სისტემით, რაც საშუალებას იძლევა გადაადგილების მონიტორინგი განხორციელდეს მიმდინარე დროში;
- აიკრძალა საწვავის გაცემა თანამშრომელთა საკუთარ ავტომანქანებზე ამ ავტომანქანების სამსახურეობრივი დანიშნულებით გამოყენების მიზეზით.

ჩამოთვლილი ღონისძიებების შედეგად მოსალოდნელია არა მხოლოდ უკვე დათვლადი, კონკრეტული ეკონომია, არამედ ხარჯვის ეფექტურობის ზრდა, რაც წლის ბოლოს საწვავისა და სათადარიგო მასალების კიდევ უფრო მეტ ეკონომიაში გამოვლინდება.

## ღონისძიებები გატარებული მერიის მუშაობის გაუმჯობესებისათვის

- ✓ **შედეგი #9:** მომზადებული იქნა მუნიციპალიტეტის ეფექტური მუშაობის ხელისშემშლელი საკანონმდებლო და სხვა ტიპის ნაკლოვანებათა ანალიზი. მოცემული დოკუმენტი არა მხოლოდ განმარტავს პრობლემების შინაარსს და მათ უარყოფით გავლენას მერიის სამსახურების ეფექტურ მუშაობაზე, არამედ სთავაზობს კონკრეტული გადაჭრის გზას. დოკუმენტი გადაგზავნილია ქ. ბათუმის საკრებულოსა და აჭარის უმაღლეს საბჭოში განხილვისთვის და შემდგომი რეაგირებისთვის. დოკუმენტის განხილვის მიზნით მხარეებთან ჩატარდება შესაბამისი შეხვედრები და პრეზენტაციები;
- ✓ **შედეგი #10:** მომზადებული და დამტკიცებულია საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა. მოცემული დოკუმენტი განსაზღვრავს მერიისა და მისი სისტემის ორგანიზაციების მოქმედებებს სხვადასხვა საგანგებო მდგომარეობის დროს (დიდი ნალექი, ქარიშხალი, ხანძარი და ა.შ.). დოკუმენტი წარმოადგენს მნიშვნელოვან სახელმძღვანელოს სამსახურების მოქმედებების კოორდინაციის და შედეგის გაზრდის თვალსაზრისით;
- ✓ **შედეგი #11** თვითმართველობის პროცესებში მოქალაქეების მეტი და შინაარსიანი ჩართულობის მიზნით:
  - მომზადდა მერიის მხრიდან მოქალაქეებთან მუშაობის ახალი სტანდარტი. კერძოდ, ასათიანის ქუჩაზე, მერიის შემოსასვლელში მოიხსნა გადაადგილების შემზღუდავი ბარიერები. მომზადების პროცესშია იუსტიციის სახლის მსგავსად ახალი სისტემის შემუშავება და დანერგვა, რომელიც მოქალაქეებს ერთი ფანჯრის პრინციპით მიაწოდებს ყველა სახის ინფორმაციასა და მომსახურებას. ქალაქის მასშტაბით, ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით, დაგეგმილია მომსახურების სერვის ცენტრების შექმნა მოქალაქეთა საკითხებისა და ბინათმესაკუთრეთა პრობლემების ეფექტური მოგვარების მიზნით;
  - მუნიციპალური სერვისების ავტომატიზაციის მიზნით, დაწყებულია თანამშრომლობა ა(ა)იპ ქ. თბილისის მუნიციპალური სერვისების სააგენტოსთან. მოცემულ ეტაპზე გაკეთებულია სამუშაო პროცესების ანალიზი და მიმდინარეობს მუშაობა ტექნიკური დავალების მომზადებაზე. ტექნიკური დავალების შემუშავების შემდეგ, გამოცხადდება ტენდერი მომსახურების შესყიდვაზე. მუნიციპალური სერვისების ავტომატიზაცია განსაკუთრებულ წვლილს შეიტანს ერთი მხრივ, მოქალაქეების საბიუჯეტო და მუნიციპალურ პროცესებში ჩართულობის გაზრდაში, ხოლო მეორე მხრივ, სერვისების დისტანციურად მიწოდებაში. ეს მიდგომა მნიშვნელოვნად შეამცირებს ბიუროკრატიულ ბარიერებს მუნიციპალიტეტთან ურთიერთობაში;
  - მომზადდა ქ. ბათუმის მერის მრჩეველთა საბჭოს ახალი დებულება. ცვლილებები მომზადებულია არსებული პრაქტიკისა და მისი ნაკლოვანებების გათვალისწინებით და მოწოდებულია გაზარდოს ამ ერთეულის ეფექტურობა მისი ხარისხობრივი და ფუნქციონალური დატვირთვის გაუმჯობესების გზით. მიმდინარეობს მრჩეველთა საბჭოს კანდიდატურების მიღება შესაბამისი ორგანიზაციებიდან.
- ✓ **შედეგი #12:** მერიის სამსახურების ეფექტურობის გაზრდისთვის გატარდა რიგი ღონისძიებები. კერძოდ:
  - გაუქმდა 11 კომისია/საბჭო. გაუქმების მოტივი და მიზეზი თითოეულ შემთხვევაში სხვადასხვა იყო. მაგალითად, ზოგიერთი კომისია/საბჭო შექმნილი იყო კონკრეტული ფუნქციებით და კონკრეტული ღონისძიებისთვის. მიმდინარე ეტაპზე, მათ ამოწურეს საკუთარი ფუნქციები და წარმოადგენდნენ უმოქმედო ერთეულს. სხვა შემთხვევაში კომისია თავისი შინაარსით მერიის კონკრეტული სამსახურის ფუნქცია-მოვალეობების დუბლირებას ახდენდა. ამგვარად ასეთი კომისიის არსებობა ზღუდავდა კონკრეტული სამსახურების გამართული მუშაობის შესაძლებლობებს;
  - მომზადდა მერიის სამსახურების რისკების მართვის დოკუმენტი. დოკუმენტი შემუშავებული სტანდარტის მიხედვით, საშუალებას აძლევს მერიის სამსახურებს მოახდინონ კონკრეტული დასახული მიზნებისა და ამ მიზნებისთვის გათვალისწინებული ღონისძიებების გატარებასთან დაკავშირებული რისკების იდენტიფიკაცია და აღრიცხვა, ისევე, როგორც ამ რისკების

შემცირებისა თუ აღმოფხვრისკენ მიმართული ღონისძიებების განსაზღვრა და გატარება. რისკების მართვის დოკუმენტი მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სამსახურების ეფექტურობას;

- სახელმწიფო აუდიტის რეკომენდაციების გათვალისწინებით შემუშავებულია ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტი:
  - სარეზერვო ფონდის განკარგვის წესი;
  - საბინაო ფონდის განკარგვის წესი;

მოცემული დოკუმენტების შემუშავება კიდევ უფრო გამჭვირვალესა და ეფექტურს გახდის მუნიციპალური თანხებისა და ქონების განკარგვას. დოკუმენტები, მათი საბოლოოდ დამტკიცების მიზნით, შემდგომი განხილვისთვის მიწოდებულია სხვადასხვა მხარეებზე.

- საჯარო ინფორმაციის გამჭვირვალობის, ასევე მასზე წვდომის ამაღლების მიზნით განისაზღვრა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიაში ასევე მის სტრუქტურულ ერთეულებში საჯარო ინფორმაციაზე და მის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი განყოფილება, პირები და მათი უფლებამოსილებები;

### ქალაქისა და მოქალაქეების საჭიროებებზე რეაგირების სისტემა

✓ **შედეგი #13:** ქალაქისა და მოქალაქეების საჭიროებებზე უკეთესად რეაგირების მიზნით:

- მიმდინარეობს ა) ქალაქის ტერიტორიაზე არსებული იმ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების შესწავლა/აღრიცხვა რომელიც საჭიროებს რეაბილიტაციას ან/და დემონტაჟს. საბოლოო მონაცემები წარმოდგენილი იქნება 1 აპრილის მდგომარეობით. მათი ანალიზის საფუძველზე მერია შეიმუშავებს საცხოვრისების რეაბილიტაციის პროგრამას და ასახავს მას ბიუჯეტში; პარალელურად, მიმდინარეობს მრავალსართულიანი სახლების ლიფტების მდგომარეობის შესწავლა, მათ შორის, მომეტებული საფრთხის შემცველი ერთეულების გამოვლენისთვის და შემდგომი რეაგირებისთვის;
- ქალაქის ტერიტორიაზე ყოველდღიურად წარმოქმნილი მცირე მასშტაბის ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარების მიზნით, შეიქმნა და წარმატებით მუშაობს მერიისა და მისი სამსახურების ქსელური სისტემა. აქ ხდება პრობლემის ვიზუალური იდენტიფიცირება და მისამართის მითითება, რის საფუძველზეც კონკრეტული სამსახური ან/და ორგანიზაცია იღებს პასუხისმგებლობას მოცემული პრობლემის დაუყოვნებლივ მოგვარებაზე, ისევე როგორც იძლევა პრობლემის მოგვარების დამადასტურებელ ვიზუალურ მასალას. მოცემული სისტემის წარმატებული მუშაობის შედეგად შესაძლებელია ყოველთვიურად ათეულობით მცირე, თუმცა ქალაქის ყოფის მოწესრიგების თვალსაზრისით მნიშვნელოვანი პრობლემის მოწესრიგება. მიმდინარე ეტაპზე, დღის წესრიგში დგას მოცემული სისტემისთვის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის მომზადება, ასევე მისი მომხმარებლების მერიის თანამშრომლების გარდა ჩვეულებრივ მოქალაქეებამდე გაფართოვება;
- ჩამოყალიბდა მერიის მომსახურების სწრაფი რეაგირების ჯგუფი. ჯგუფის მიზანია ცალკეულ უბნებში უზრუნველყოს მერიის სამსახურებისგან შემდგარი ჯგუფის მისვლა, კონკრეტული პრობლემის იდენტიფიცირება და მისი ადგილზე მოგვარება. ამ პრინციპით ჯგუფმა წარმატებით განახორციელა სამუშაოები რამოდენიმე უბანზე და შეძლო წლების მანძილზე იქ არსებული მწვავე პრობლემების მოწესრიგება. ჯგუფი მუდმივმოქმედა და გასვლებს ახორციელებს ყოველკვირეულად;
- შემუშავდა და დამტკიცდა მერიის სამსახურების მხრიდან კერძო საკუთრებაში არსებული, მიტოვებული და მოუვლელი ტერიტორიებისა და შენობა-ნაგებობების მოწესრიგების წესი. ამ წესმა საშუალება მოგვცა ქალაქის მასშტაბით დაგვესუფთავებინა და მოგვეწესრიგებინა ისეთი ლოკაციები რომლებიც უკვე საფრთხის შემცველი იყო ქალაქისათვის და მოსახლეობისათვის როგორც სიბინძურის კერა, დაავადებებისა და სხვადასხვა გადამტანების გავრცელების ადგილი.

## ქალაქის განაშენიანების რეგულირების მიზნით გატარებული ღონისძიებები

✓ **შედეგი #14:** ქალაქის განაშენიანების რეგულირების მიზნით:

- მზადების პროცესშია ქ. ბათუმის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ტექნიკური დავალება. არსებულ რედაქციაში მნიშვნელოვანი ცვლილებები იქნა შეტანილი. კერძოდ, დაზუსტდა დოკუმენტური შემადგენელი ზონირებისა და საოციალურ-ეკონომიკურ ნაწილებში, ასევე მნიშვნელოვანწილად გაძლიერდა დოკუმენტის საინჟინრო ნაწილის სპეციფიკაციები. მზადების პროცესშია, ასევე, ტერიტორიული ერთეულის განაშენიანების რეგულირების გეგმის ტექნიკური დავალება. მისი მიზანია დროს მოკლე მონაკვეთში, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის წინსწრებად შექმნას მოცემული გრგ-ები მათი შემდგომი გამოყენების მიზნით ქალაქის განაშენიანების საქმეში;
- საკრებულოში დაწყებულია საქმის წარმოება ქ. ბათუმის ისტორიული განაშენიანების საზღვრების დადგენისა და დამტკიცების თაობაზე; ჩატარებულია შეხვედრები პროფესიულ, და საჯარო წრეებთან. უახლოეს დღეებში ჩატარდება საჯარო განხილვები არასამთავრობო წრეებთან;
- მომზადდა ქ. ბათუმის ისტორიული განაშენიანების სპეციალური ზონისა და მასზე გავრცელებული რეგულაციებისა და მუნიციპალური პროგრამის შესახებ პროექტი. თანახმად მოცემული პროექტისა მითითებულ ზონაში (რომელიც შემოსაზღვრულია გამსახურდიას, ჰაიდარ აბაშიძისა და ჭავჭავაძის ქუჩებით) ახლადმშენებარე შენობის მაქსიმალური სიმაღლე განისაზღვრა 12 მეტრით, დაწესდა პროექტებზე მკაცრი ვიზუალური და არქიტექტურული კონტროლი და მომზადდა მუნიციპალური პროგრამა. თანახმად ამ პროგრამისა, ბათუმის მერია მზადაა დააკმაყოფილოს სპეციალურ ზონაში მაცხოვრებელი მოქალაქეები ალტერნატიული საცხოვრებელი ფართით საკუთარი საბინაო ფონდიდან, ამგვარად, შეისყიდოს მუნიციპალურ საკუთრებაში კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე შენობა-ნაგებობები, ასევე, მათი ფიზიკური დაცვის ზონაში არსებული ფონური შენობები. მერია, კულტურული მემკვიდრეობის სააგენტოსთან ერთად, შეიმუშავებს მოცემული შენობების რეაბილიტაციის პროექტს და შესთავაზებს ინვესტორებს ამ პროექტების განხორციელების საპირწონედ/საფასურად მოცემული შენობების მრავალწლიანი იჯარის ან საკუთრებაში გადაცემის შესაძლებლობას. უახლოეს პერიოდში გამოცხადდება მოცემული სპეციალური ზონის განვითარების გეგმის შესყიდვა რომლის მთავარი მიზანია ზემოთ ჩამოთვლილ ღონისძიებებთან კომპლექსში მისცეს ძველი ბათუმის ისტორიულ ნაწილს საკუთარი ტურისტული პოტენციალის მაქსიმალურად გამოვლენა.
- აჭარის მთავრობამ საკუთარი გადაწყვეტილებით უარი თქვა კ2 კოეფიციენტის შუამდგომლობაზე. უფლებამოსილება აჭარის მთავრობიდან მერიაში გადმოდის. აღნიშნულთან დაკავშირებით მიმდინარეობს შესაბამისი ინსტრუმენტების შემუშავება პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფისთვის.

## სატრანსპორტო სისტემის მოწესრიგება

### ✓ შედეგი #15:

- საკრებულოს გადაეგზავნა ტრანსპორტის სტრატეგია დამტკიცებისათვის
- შემუშავებულია ქალაქის ახალი სამარშრუტო ქსელი
- მომზადებულია სატრანსპორტო სისტემის ოპტიმიზაციის გეგმა, რომლის განხორციელება დაიწყება უახლოეს დღეებში
- ლიკვიდირებულია უკანონო ავტობაზრობა აღმაშენებლის ქუჩაზე
- მიმდინარეობს ტენდერი ახალი ავტობუსების შეძენის მიზნით
- დაწყებულია ქალაქის საპარკინგე ზონების მოწყობა (თბილისის მოედანი)
- დაწყებულია მგზავრთა გადასაჯდომი ტერმინალების მოწყობა (თბილისის მოედანი)
- უახლოეს დღეებში ქალაქში დაიდგმება თანამედროვე საპარკინგე ნაგებობები

## ბიზნეს სექტორის სტიმულირება

### ✓ შედეგი #16:

- ინდუსტრიული ბიზნეს ცენტრის მოწყობისთვის აჭარის მთავრობამ გამოყო 5 ჰექტარი ტერიტორია მდინარე ჭოროხის გასწვრივ
- მიმდინარეობს ინდუსტრიული ბიზნეს ცენტრის საოპერაციო მოდელის შექმნაზე მუშაობა

## ქ. ბათუმის მერიის პროგრამული ნაწილის შესრულება

### ✓ შედეგი #17: შესრულდა შემდეგი სახის ინფრასტრუქტურული კეთილმოწყობისა და გამწვანების სამუშაოები:

- ასფალტის საფარი დაიგო 6,568 გრძივ მეტრზე, 22 ქუჩასა და ქუჩის მონაკვეთზე;
  - მოეწყო ბორდიური 3,685 გრძივ მეტრზე;
  - ფილები დაიგო 9,288 კვადრატულ მეტრზე;
  - ქვაფენილი დაიგო 3,617 კვადრატულ მეტრზე;
- ბეტონის საფარი დაიგო 3,291 გრძივ მეტრზე, 35 ქუჩასა და ქუჩის მონაკვეთზე;
- სანიაღვრე მოეწყო 6,763 გრძივ მეტრზე;
- მოეწყო 210 განათების წერტილი, 6,300 გრძივ მეტრზე;
- შეკეთდა/მოეწყო 1 მრავალსართულიანი სახლის სახურავი, ხოლო 33 მრავალსართულიანი სახლის სახურავზე მოეწყო თოვლდამჭერები;
- 33 მრავალსართულიანი სახლზე ჩატარდა ეზოებისა და კომუნალური სისტემების შეცვლა/რეაბილიტაცია;
- განხორციელდა 4 მრავალსართულიანი სახლის ლიფტების დემონტაჟი და ახლით ჩანაცვლება;
- დასრულდა ქალაქში 2 ავარიული სახლის, შენობა-ნაგებობის აღდგენა-შეკეთება, გამაგრება-რეაბილიტაცია;
- დასრულდა სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოები გონიოს, კახაბრისა და მწვანე კონცხის დასახლებებში;
- შესრულდა 200.000 ლარამდე სამუშაოები ამხანაგობათა ეზოებში, ატრაქციონების, კორდისა და დისტანციურად მართვადი ბარიერების მოწყობის თვალსაზრისით;
- დაირგო 653 ერთეული ხე-მცენარე;
- ჩატარდა სხვადასხვა ტიპის სამუშაოები (გადაბეღვა, ცელვა, ერთწლიანი მცენარეების დარგვა).

### ✓ შედეგი #18: სოციალური დაცვის პროგრამების შესრულება



- **კომუნალური მომსახურების საფასურის სუბსიდირება:**

პროგრამით ისარგებლა:

1. წყლისა და კანალიზაციის გადასახადის (ერთეულის ფასი - თვეში 1,85 ლარი) და დასუფთავების მოსაკრებლის (ერთეულის ფასი - თვეში 1,30 ლარი შეღავათით ისარგებლა, საშუალოდ 13.860-მა პირმა მათ შორის 1665-მა მკვეთრად გამოხატულმა შშმ პირმა, შშმ სტატუსის ბავშვებმა; 1818-მა ვეტერანმა, მათთან გათანაბრებულმა პირებმა, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებმა და მარჩენალ დაკარგულებმა; 0-70000 ქულის მქონე სოციალურად დაუცველმა პირმა, 1215 მრავალშვილიანი ოჯახების (5 და მეტი შვილი) წევრებმა, მარტოხელა მშობლებმა (მარტოხელა დედა და მარტოხელა მამა) და მათმა შვილებმა.

2. სატელეფონო-სააბონენტო გადასახადის (ერთეულის ფასი - არაუმეტეს 5 ლარისა) შეღავათით ისარგებლა საშუალოდ 735-მა ბენეფიციარმა, მათ შორის 221-მა მკვეთრად გამოხატულმა შშმ პირმა, შშმ სტატუსის ბავშვებმა; 526-მა ვეტერანმა, მათთან გათანაბრებულმა პირებმა, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებმა და მარჩენალდაკარგულებმა.

3. გაზიფიცირების - ბუნებრივი აირის მილგაყვანილობისა და მრიცხველის სამონტაჟო სამუშაოების ღირებულების 90%-ის თანადაფინანსება ერთი წერტილის გათვალისწინებით გაზქურამდე დახმარებით ისარგებლა 27-მა ოჯახმა, მათ შორის 2-მა მკვეთრად გამოხატულმა შშმ პირმა, შშმ სტატუსის ბავშვებმა; 14-მა ვეტერანმა, მათთან გათანაბრებულმა პირებმა, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებმა და მარჩენალ დაკარგულებმა; 11 0-70000 ქულის მქონე სოციალურად დაუცველმა ოჯახმა.

4. 5 კვ თხევადი აირის შესაძენად ტალონით საშუალოდ ისარგებლა 115-მა ვეტერანმა, მათთან გათანაბრებულმა პირებმა, ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებმა და მარჩენალ დაკარგულებმა.

- **მოწყვლადი სოციალური კატეგორიების მატერიალური დახმარებით უზრუნველყოფა:**

მატერიალური დახმარება გაეწია:

1. საახალწლოდ და 15 თებერვალთან დაკავშირებით 122 სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიაზე ბრძოლებში დაზიანებულ ვეტერანს, II მსოფლიო ომის ვეტერანს და - II მსოფლიო ომში დაღუპული პირის ოჯახის წევრს, საქ. ტერ. მთ. ბრძოლებში დაღუპულთა ოჯახის წევრებსა და დაზიანებულ ვეტერანებს 300 ლარის ოდენობით;

2. ახალშობილის შექმნასთან დაკავშირებით მატერიალური დახმარება გაეწია სულ 103 ოჯახს, მათ შორის - 0-100.000 ქულის მქონე ოჯახს პირველი შვილის შექმნაზე 400 ლარი (2 ოჯახს), 0-100.000 ქულის მქონე ოჯახებს მეორე შვილის შექმნაზე 500 ლარი (6 ოჯახს), ყოველ მესამე ბავშვზე - 600 ლარი (80 ოჯახს), ყოველ მეოთხე ბავშვზე - 800 ლარი (13 ოჯახს), ყოველ მეხუთე და მეტ ბავშვზე 1000 ლარი (2 ოჯახს).

3. მატერიალური დახმარება გაიცა სულ 304 მრავალშვილიან ოჯახზე, აქედან 2017 წლის ნოემბერ-დეკემბერში ისარგებლა 10 0-70000 სარეიტინგო ქულის მქონე - 3 შვილიანმა ოჯახმა, 0-70000 სარეიტინგო ქულის მქონე - 4 შვილიანმა ოჯახმა, 5 (და 5-ზე მეტი შვილი) მრავალშვილიანმა ოჯახმა, მარტოხელა მშობელმა (მარტოხელა დედა და მარტოხელა მამა) და უდედმამო ბავშვმა. **2018 წლიდან ეს დახმარება გაეწია 294 ოჯახს. ახალი მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისათვის მინიმალური სოციალური პირობების შექმნა ქვეპროგრამის ფარგლებში, ყოველთვიური მატერიალური დახმარების გაცემა მოხდება ყოველთვიურად 0-70000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე 3-შვილიან ოჯახზე 80 ლარის ოდენობით, 0-70000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე 4-შვილიან ოჯახზე 100 ლარის ოდენობით, 0-70000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე 5 და მეტი შვილიან ოჯახზე 180 ლარის ოდენობით, 5 და მეტი შვილიანი ოჯახებზე 150 ლარის ოდენობით, უდედმამო ბავშვებზე 150 ლარის ოდენობით, მარტოხელა მშობლებზე (მარტოხელა დედა და მარტოხელა მამა) 50 ლარის ოდენობით.**

4. მატერიალური დახმარება გაეწია 8 ოჯახს, მათ შორის, 3 გარდაცვლილი ვეტერანის (ომის მონაწილე) და 5 სოციალურად დაუცველი გარდაცვლილი პირის 0-70000 სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახის წევრს 500 ლარის ოდენობით.

5. ყოველთვიური მატერიალური დახმარება ბავშვთა მოვლის საშუალებების შესაძენად გაეწია საშუალოდ 0-100.000 ქულის მქონე 85 ოჯახს ყოველ ერთ წლამდე ახალშობილზე 60 ლარის ოდენობით. **2018 წლიდან ამ სახის დახმარება ბენეფიციარებს ეწევა ახალი მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისათვის მინიმალური სოციალური პირობების შექმნა ქვეპროგრამის ფარგლებში.**

6. ამ პერიოდისთვის ყოველთვიურად მატერიალური დახმარება ეწევა 1 ეტლით მოსარგებლე პირს ტრანსპორტირების ხარჯებისთვის.

- **მუნიციპალური ტრანსპორტით მგზავრობის საფასურის სუბსიდირება:**

აღნიშნული პერიოდის მონაცემებით მუნიციპალურ ტრანსპორტზე შეღავათით საშუალოდ ისარგებლა **36.540** ბენეფიციარმა, აქედან 50 %-იანი შეღავათით ისარგებლა **16.110** ბენეფიციარმა, ხოლო 100%-იანი შეღავათით - **20.430** ბენეფიციარმა.

- **მზრუნველობას მოკლებულ ბენეფიციართა მოვლა-პატრონობა და მოვლის საჭიროების მქონე პირთა დახმარება:**

2017 წლის ნოემბერ-დეკემბერში ქვეპროგრამის ფარგლებში მომსახურება გაეწია ყოველთვიურად **212** ბენეფიციარს, აქედან მოხუცებულთა თავშესაფარში მომსახურება გაეწია **122** მზრუნველობას მოკლებულ პირს(თავშესაფრით უზრუნველყოფა, კვება, სამედიცინო მომსახურება ერთეულის ფასი **18** ლარი), ხოლო ბინაზე მოვლის საჭიროების მქონე **90** პირს (პრევენცია, მკურნალობა, რეაბილიტაცია ერთეულის ( ფასი **51** ლარი), 2018 წლიდან კი **222** ბენეფიციარს, მათ შორის **122** მზრუნველობას მოკლებულ პირს, ხოლო ბინაზე მოვლის საჭიროების პირთა რაოდენობამ გაიზარდა 10 ბენეფიციარით და მომსახურება ეწევა **100** პირს, ამასთან ერთად გაიზარდა ერთეულის ფასი და შეადგინა (**54** ლარი).

- **მუნიციპალური უფასო სასადილო:**

2017 წლის ნოემბერ - დეკემბრის მონაცემებით ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ - ბათუმის სოციალური სერვისების სააგენტო ყოველდღიურად მომსახურებას უწევდა **0-57.000** ქულის მქონე **4521** სოციალურად დაუცველ ბენეფიციარს (ერთეულის ფასი **2,00**), დღეში ერთჯერ ცხელი საკვებით უზრუნველყოფით, ხოლო 2018 წლიდან მომსახურება ეწევა **4779** ბენეფიციარს.

- **დროებითი ღამის თავშესაფარი:**

ყოველდღიურად საშუალოდ სარგებლობს **50** ბენეფიციარი, ორჯერადი კვებით (საუზმე, ვახშამი) და სუფთა ტანსაცმლით უზრუნველყოფა, საჭიროების შემთხვევაში სამედიცინო მომსახურების გაწევა.

- **საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხარდაჭერა:**

ბათუმის ხანდაზმულთა დღის სოციალურ ცენტრს, ა(ა)იპ - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ომის, შრომის და სამხედრო ძალების ვეტერანთა გაერთიანება "ომგადახდილის" ქალაქ ბათუმის ორგანიზაციას, ავღანეთის ვეტერანთა საქართველოს კავშირის აჭარის რეგიონალურ ორგანიზაციას გადაერიცხა ფინანსური დახმარება.

- **მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისათვის მინიმალური სოციალური პირობების შექმნა:**

ამოქმედდა 2018 წლიდან, ითვალისწინებს მოწყვლადი სოციალური კატეგორიებისათვის, უპირატესად სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის, სოციალური პირობების გაუმჯობესებასა და მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნას, რომლის ფარგლებშიც დაგეგმილია:

1. სოციალურად დაუცველი შშმ და ბინაზე მოვლის საჭიროების მქონე პირებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 57.001, სამი და მეტ შვილიანი, სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 30.001 და

სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 1.001-ს პირველადი საყოფაცხოვრებო ნივთების, ავეჯის, ტექნიკის, სოციალური დანიშნულების საქონლის და სარემონტო მასალების შეძენა, საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართის რემონტი.

2. მატერიალური დახმარების გაცემა 0-70000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე 3-შვილიან ოჯახზე ყოველთვიურად 80 ლარის ოდენობით, 0-70000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე 4-შვილიან ოჯახზე ყოველთვიურად 100 ლარის ოდენობით, 0-70000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე 5 და მეტი შვილიან ოჯახზე ყოველთვიურად 180 ლარის ოდენობით, 5 და მეტი შვილიანი ოჯახების ყოველთვიური დახმარება 150 ლარის ოდენობით, უდემამო ბავშვების ყოველთვიური დახმარება 150 ლარის ოდენობით, მარტოხელა მშობლები (მარტოხელა დედა და მარტოხელა მამა) ყოველთვიური დახმარება 50 ლარის ოდენობით, 0-დან 100 000 ქულის მქონე ოჯახებს ბავშვთა მოვლის საშუალებების შესაძენად ყოველთვიური დახმარება ყოველ ერთ წლამდე ბავშვზე 60 ლარის ოდენობით ოდენობით. მოკვლევის ბარათების საფუძველზე დღემდე მოკვლეულია 390 ოჯახი.

- **შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ასისტენტით მომსახურება:**

ამოქმედდა 2018 წლიდან, ითვალისწინებს ტოტალურ უსინათლოთა და ეტლით მოსარგებლეთა გადაადგილების მიზნით ასისტენტის (გამცილებლის) მომსახურების დაფინანსებას. საწყის ეტაპზე, დაგეგმილია, რომ აღნიშნული სერვისით ისარგებლებს 48 ბენეფიციარი, რომელთაც მოემსახურება რვა ასისტენტი. ერთი ასისტენტი მოემსახურება 6 ბენეფიციარს და კვირაში თითოეულს 2-ჯერ გაუწევს ასისტენტობას. ერთი ვიზიტის მომსახურების საფასური იქნება 10 ლარი. ბენეფიციარის სურვილის შემთხვევაში ასისტენტი შესაძლოა მისი ოჯახის წევრი გახდეს. დღემდე შემოსულია 45 უსინათლო და 1 ეტლით მოსარგებლე პირთა განცხადება. ქვეპროგრამის ბიუჯეტი **46 080** ლარია.

- **ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალურად დაუცველ და სხვა პირთა მატერიალური დახმარების გაწევის შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის გადაწყვეტილებით: მატერიალური დახმარება სოციალური კუთხით გაეწია **66** ბენეფიციარს და გამოიყო **25.636** ლარი.**

2017 წლის 22 დეკემბრის # 26 ოქმით დაკმაყოფილდა **32** ბენეფიციარი - **7150** ლარით.

2018 წლის 11 იანვრის #1 ოქმით სოციალური კუთხით დაკმაყოფილდა **15** ბენეფიციარი - **9000** ლარით.

2018 წლის 18 იანვრის #2 ოქმით სოციალური კუთხით დაკმაყოფილდა **7** ბენეფიციარი - **6600** ლარით.

2018 წლის 25 იანვრის #3 ოქმით სოციალური კუთხით დაკმაყოფილდა **12** ბენეფიციარი - **2886** ლარით.

- **ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხე-მცენარეების გადაბეღვის ან/და ჭრის შედეგად დარჩენილი საშეშე მერქნის სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის განაწილების თაობაზე შემოსული განცხადებების რაოდენობამ შეადგინა **124** დაკმაყოფილდა **49**.**

**საცხოვრისზე** შემოსული განცხადებების რაოდენობამ შეადგინა **37**

ამ პერიოდისთვის სოციალური უზრუნველყოფის კუთხით გაიხარჯა **1.670.181** ლარი და ისარგებლა **56.189**- მდე ბენეფიციარმა.

✓ **შედეგი #19:** ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების შესრულება:

- 2017 წლის 13 ნოემბრიდან დღემდე ჯანდაცვის პროგრამებით ისარგებლა 6802-მა ბენეფიციარმა;
- **მოწყვლადი სოციალური ჯგუფების მქონე პირთა მედიკამენტებითა და საკვები დანამატების კომპენსაციით უზრუნველყოფა** - პროგრამით ისარგებლა 2345-მა ბენეფიციარმა;
- **ონკოლოგიურ დაავადებათა ადრეული ფორმების დიაგნოსტიკა და პრევენცია.** დაემატა ახალი ღონისძიება 25-დან 30 წლამდე ასაკის ქალბატონებისათვის სარძევე ჯირკვლის ელასტოგრაფია. პროგრამის ფარგლებში ისარგებლა 944-მა ბენეფიციარმა;
- **ფსიქიური პრობლემების მქონე პირთა ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია:** პროგრამით ყოველთვიურად სარგებლობს 25 ბენეფიციარი;
- **მოწყვლადი ჯგუფების სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურება:** ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სტომატოლოგიური და ორთოპედიული მომსახურებით ისარგებლებენ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის უფასო მუნიციპალური სასადილოების ბენეფიციარები, ასევე ომში დაზიანებული და ასაკით პენსიონერი ომის ვეტერანები; ხოლო 18 წლამდე ასაკის შშმ სტატუსის მქონე ბავშვები ისარგებლებენ აგრეთვე ორთოდონტიული მომსახურებით. პროგრამის ფარგლებში, ისარგებლა 121-მა ბენეფიციარმა. გახარჯული თანხა შეადგენს 23520 ლარს.
- **C ჰეპატიტის დიაგნოსტიკისა და მკურნალობის მონიტორინგის თანადაფინანსება:** პროგრამის ფარგლებში ისარგებლა 325-მა ბენეფიციარმა.
- **ახალშობილთა და ბავშვთა განვითარების შეფერხების პრევენცია და რეაბილიტაცია:** ქ. ბათუმში დაბადებულ ახალშობილებს ჩაუტარდებათ სმენისა და მუკოვისციდოზის (რადგან სხვა გენეტიკური დაავადებების - ფენილკეტონურია, ჰიპოთირეოზის კვლევა ხორციელდება ჯანდაცვის სამინისტროს პროგრამით) სქრინინგული გამოკვლევა. ქ. ბათუმში რეგისტრირებულ 7 წლამდე ასაკის განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებისათვის რეაბილიტაცია მულტიდისციპლინარული გუნდის ერთი ან საჭიროების შემთხვევაში რამდენიმე სპეციალისტის (ადრეული განვითარების სპეციალისტი, ფსიქოლოგი, ოკუპაციური თერაპევტი, ლოგოპედი, სპეციალური პედაგოგი და სხვა) მიერ, საერთო ჯამში თვეში 8 მომსახურების გაწევა, აგრეთვე მშობლებისათვის ტრენინგ-სემინარების ჩატარება. ქ. ბათუმში რეგისტრირებული 2-დან 10 წლამდე ასაკის სმენის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის ფარგლებში ქ. ბათუმში რეგისტრირებული სმენის დარღვევების მქონე 2-დან 10 წლამდე ასაკის ბავშვებს ჩაუტარდებათ ფსიქოლოგის და ლოგოპედის მომსახურება. აუტისტური სპექტრის დარღვევის მქონე 2-დან 15 წლამდე ასაკის ბავშვებს გამოყენებითი ქვევითი ანალიზის თერაპია, საჭიროებისამებრ მეტყველების თერაპია, ოკუპაციური თერაპია და სხვა. საშუალოდ 15 გაკვეთილი თვის განმავლობაში. ქ. ბათუმში რეგისტრირებულ ერთ წლამდე ასაკის ბავშვებს ჩაუტარდებათ მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლაზიისა და ამოვარდნილობის ამბულატორიული მკურნალობის კურსი (15 სამკურნალო მასაჟი, 15 ფიზიოპროცედურა, კალციუმის შემცველი მედიკამენტები).

ქვეპროგრამის ფარგლებში:

1. მუკოვისციდოზზე პირველადი გამოკვლევა ჩაუტარდა - 1289, ხოლო მეორადი - 5 ბავშვს.
  2. სმენის სქრინინგი ჩაუტარდა - 1130 ბავშვს.
  3. სმენის დარღვევის მქონე 15 ბავშვს ყოველთვიურად უტარდება რეაბილიტაცია.
  4. ქ. ბათუმში რეგისტრირებულ 7 წლამდე ასაკის განვითარების შეფერხების მქონე ბავშვებისათვის რეაბილიტაცია ყოველთვიურად 175 ბავშვზე.
  5. აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია - 70 ბავშვს ყოველთვიურად.
  6. ბავშვთა მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლაზიისა და თანდაყოლილი ამოვარდნილობის მკურნალობა - ჩაუტარდა 71 ბავშვს.
- **2018 წლისათვის გაიზარდა ბენეფიციართა რაოდენობა აუტიზმისა და განვითარების შეფერხების ღონისძიებებში და ამჟამად შეადგენს აუტიზმში 70 პირს, განვითარების შეფერხებაში 175 პირს.**

- **ჰემოდიალიზის ცენტრის პაციენტთა და ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა მატერიალური დახმარება:** ქვეპროგრამის ფარგლებში ისარგებლა დიალიზით დაავადებულმა 108 ბენეფიციარმა, ლეიკემიით დაავადებულმა 21-მა ბავშვმა.
- **მოქალაქეთა ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება:** გათვალისწინებულია ღვიძლის ტრანსპლანტაციის საჭიროების მქონე პირთა დახმარება 30000 ლარის ოდენობით და ბენეფიციართა გეგმიური ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსება. ქვეპროგრამის ფარგლებში ისარგებლა 148-მა ბენეფიციარმა,
- **სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის მხარდაჭერა:**

ქ.ბათუმის მოსახლეობისათვის პირველადი პრეჰოსპიტალური სამედიცინო დახმარების გაწევისათვის ქ. ბათუმის მერიაში შემუშავებული იქნა „სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადების სეზონური დაფინანსების პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს უფასო სამედიცინო მომსახურების გაწევას მოქალაქეთათვის ზამთრის პერიოდში ორი ბრიგადის დამატებას სამი თვის განმავლობაში მწვავე რესპირატორული ინფექციების მომატებასთან დაკავშირებით და ზაფხულში სამი თვით სამი ბრიგადის დამატებას ტურისტულ სეზონთან დაკავშირებით. შეძენილი იქნა ახალი ავტომანქანები, განახლდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ჯამში დაფიქსირდა 18 111 გამოძახება.

- **ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალურად დაუცველ და სხვა პირთა მატერიალური დახმარების გაწევის შემსწავლელი მუდმივმოქმედი კომისიის გადაწყვეტილებით:** მატერიალური დახმარება ჯანდაცვის კუთხით გაეწია 129 ბენეფიციარს.
- **ბათუმის ტერიტორიაზე არსებული დაწესებულებების სანიტარული-ჰიგიენური მონიტორინგის ქვეპროგრამის ფარგლებში:** 2017 წლის 13 ნოემბრიდან დღემდე განხორციელდა სანიტარული-ჰიგიენური მდგომარეობის შემოწმება ააიპ საბავშვო ბაღები-17, კვების პროდუქტების მონიტორინგი 4 საბავშვო ბაღში აღებული იქნა 60 ნიმუში, მუნიციპალური სასასდილოები-6, კერძო საბავშვო ბაღები სტუდიები-17, სილამაზის სალონები-25, სტომატოლოგიური კლინიკების ინსტრუმენტები სტერილობა- 27, საჯარო სკოლა-18. ქვეპროგრამის ფარგლებში შემოწმებული იქნა კერძო საბავშვო ბაღები, სტუდიები-17 სილამაზის სალონები-11 მუნიციპალური სასადილოები--6.
- **დეზინსექცია-დერატიზაცია:** 2018 წლის ქვეპროგრამის ფარგლებში 2017 წლის 13 ნოემბრიდან დღემდე, განხორციელდა ქალაქის ტერიტორიის დერატიზაცია - 3350 ობიექტის, ნაგავმტარები კონტეინერების დეზინსექცია 1320, საცხოვრებელ სახლებში არსებული ნაგავმტარების დეზინსექცია -5.
- **მაწანწალა ცხოველების მოვლა-პატრონობისა და პოპულაციის რეგულირების ღონისძიებები:** 2017 წლის 13 ნოემბრიდან დღემდე, განხორციელდა მაწანწალა ცხოველების დაჭერა და ტრანსპორტირება, სტერილიზაცია, კასტრაცია, კვება, ვაქცინაცია და დაბირკვა-460 ცხოველი, ბუნებრივ არეალში გაშვებული დაბირკული გასტერილებული ცხოველების რევაქცინაცია, მოზარდი ცხოველების (ლეკვი კნუტი) დაჭერა ქალაქის ტერიტორიაზე და ტრანსპორტირება თავშესაფარში(ვეტერინარული კლინიკა) მოვლა -პატრონობის მიზნით-100 ცხოველი.

✓ **შედეგი #20:** განათლების, კულტურისა და სპორტის პროგრამები:

- **სტრატეგიული მიმართულებები, პოლიტიკა, სამოქმედო გეგმა**

მომზადდა სამსახურის სტრატეგიული მიმართულებების დოკუმენტი.

მზადდება სამსახურის სპორტისა და ახალგაზრდობის განყოფილების პოლიტიკის დოკუმენტი. მოკლევადიანი ხედვა სპორტისა და ახალგაზრდობის მიმართულებით, ასევე, სამოქმედო გეგმა, ძირითად ფუნქციები, მიზნები და ამოცანები 2018-2021 წლებისათვის, ყველა დაინტერესებული პირებთან / სუბიექტებთან ერთად, განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის მიმართულებით ერთიანი პოლიტიკის შემუშავება, განვითარების ახალ ეტაპზე გადაყვანა და შემდგომი ოთხი წლის განმავლობაში თვისობრივად ახალი, ქვეყნისათვის მდგრადი განვითარების პირობების შექმნისა და უზრუნველყოფის მიზნით.

- **საბიუჯეტო პროცესი - პროგრამები და ქვეპროგრამები**

არსებულ პროგრამებს დაემატა ქვეპროგრამა „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაცია“ (ქ. ბათუმში, ზუბალაშვილის ქ. N38-ში მდებარე შენობის (კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის) რეაბილიტაცია. ქვეპროგრამის ბიუჯეტი - 390 200 ლარი).

ქვეპროგრამას „საერთაშორისო ფესტივალების მხარდაჭერა“, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის, განვითარებისა და პოპულარიზაციის მიზნით, დაემატა ღონისძიება „გიორგი გარაყანიძის სახელობის ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის ბათუმის საერთაშორისო ფესტივალი“ (ბიუჯეტი - 20 000 ლარი).

ქვეპროგრამას „ხელოვანთა ხელშეწყობა“ დაემატა ახალი ღონისძიება „გამოფენებისა და გასტროლების დაფინანსება“. ღონისძიების ფარგლებში განხორციელდება საქართველოს მასშტაბით ჯგუფური, თუ პერსონალური გამოფენებისა და მასთან დაკავშირებული ღონისძიებებისა და თეატრების გასტროლების ხელშეწყობა. პროექტების შერჩევა მოხდება კონკურსის წესით (ბიუჯეტი 35 000 ლარი).

- **ქვეპროგრამა „ახალგაზრდული ცენტრი“  
ღონისძიება „ახალგაზრდობის სფეროში თავისუფალი ინიციატივების მხარდაჭერა“**

2-4 დეკემბერს განხორციელდა პროექტი 'კომპოსტირება', რომლის ფარგლებშიც ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კურსის სტუდენტებმა, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის შემოერთებულ ტერიტორიებზე მცხოვრებ მოსახლეობას გაუზიარეს თავიანთი თეორიული ცოდნა სოფლის მეურნეობაში 'კომპოსტირების' მეთოდის გამოყენების, მისი საჭიროებისა და მნიშვნელობის შესახებ. პრაქტიკულად აჩვენეს თუ როგორ მზადდება 'კომპოსტი' და რა შედეგამდე მივყავართ სოფლის მეურნეობაში აღნიშნული მეთოდის გამოყენებას.

1-10 დეკემბერს განხორციელდა პროექტი - „ნათელი“, რომლის ფარგლებშიც შეიქმნა ვებ-გვერდი, რომელზეც განთავდა 10 ((ათი) მხატვრული ლიტერატურა) აუდიო წიგნი, უსინათლოთათვის და ზოგადად დაწყებითი საბაზო საფეხურის მოსწავლეებისათვის განათლების მიღების, პროექტის მონაწილეთათვის კითხვისა და ანალიტიკური უნარების განვითარების მიზნით. პროექტი განხორციელდა ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის N2 საჯარო სკოლის მეცხრე- ა კლასის მოსწავლეების მიერ.

1-15 დეკემბერს განხორციელდა პროექტი „ღიმილი წვიმაში“, რომლის ფარგლებშიც ახალგაზრდებმა მოხატეს ქოლგები სხვადასხვა თემატიკის გამოყენებით, როგორც „წვიმიანი ბათუმის“ სიმბოლო და წვიმიან ამინდში შშმ პირების ჩართულობით, დაურიგეს ქ. ბათუმის ქუჩებში გამვლელ მოქალაქეებს, იმედის, ღიმილისა და სიკეთის გამოხატულების ნიშნად.

- **ახალგაზრდული ცენტრის წარმატებული ახალგაზრდები**

აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა წლის განმავლობაში ახალგაზრდული მიმართულებით სხვადასხვა სახისა და ხასიათის აქტივობებში მონაწილეობისა და ორგანიზების შედეგად მიღწეული შედეგების შეჯამება, გამოვლინდნენ და გადაეცათ სიგელები ცენტრის საქმიანობაში ყველაზე აქტიურ მონაწილეებს, წარმატებულ ახალგაზრდებს, ასევე სპეციალური პრიზით დაჯილდოვდა „ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა“ ფარგლებში წარმოდგენილი საუკეთესო პროექტების ავტორი, ღონისძიება დასრულდა როკ-პოეზიით, რომლის შემსრულებლებიც გახლდათ ნიჭიერი ახალგაზრდები, ძმები: ნიკოლოზ და გიორგი ფუტკარაძეები.

- **შეხვედრები / ტრენინგები**

17 ნოემბერს ახალგაზრდული ცენტრის ადმინისტრაციულ შენობაში ჩატარდა ტრენინგი თემაზე „პიროვნული გავითარება და თვითრეალიზაცია“. ტრენინგი გახლდათ საჯარო მმართველობის დოქტორი, PR აკადემიის დირექტორი - ნათია გოცამე. ტრენინგს დაესწრო 35 ბათუმელი ახალგაზრდა.

10 დეკემბერს, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად, ბათუმის მერიის ახალგაზრდულ ცენტრში, აჭარის ა.რ. ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ფილიალის იურისტმა მირზა მამულაძემ წაიკითხა საჯარო ლექცია თემაზე "როგორ უნდა მოხდეს ძალადობის პრევენცია სკოლებში/ახალგაზრდებში", საჯარო ლექციას ესწრებოდა 40 ბათუმელი ახალგაზრდა.

ნოემბრიდან 7 დეკემბრის ჩათვლით მოეწყო 'მუზეუმების კვირეული'. ქ. ბათუმის საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეებმა, მოინახულეს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მუზეუმები, აგრეთვე გონიოს ციხე, გაეცნენ მუზეუმების დაარსებისა და მათში დაცული ეგზემპლარების შესახებ ინფორმაციას.

13 დეკემბერს, გაიმართა შეხვედრა პოეტსა და პუბლიცისტთან - რატი ამაღლობელთან. შეხვედრა წარმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში, პოეტმა ახალგაზრდებს გაუზიარა საკუთარი გამოცდილება და მისცა სასარგებლო რჩევები.

2017 წლის ნოემბრიდან ახალგაზრდების ინიციატივით მოეწყო „არტ სივრცე“, რაც გულისხმობს ხელოვნებით დაინტერესებული მოზარდებისთვის (8-14 წელი), საინტერესო თემატიკის ირგვლივ, დისკუსიის გამართვას, ცნობილი მხატვრების ბიოგრაფიების მოსმენას, ნამუშევრების შექმნასა და გამოფენის ორგანიზებას. არტ სივრცეში გაწევრიანებულია 13 ბათუმელი მოზარდი, რომლებიც ყოველ კვირა დღეს იკრიბებიან ახალგაზრდული ცენტრის ადმინისტრაციულ შენობაში და ეწევიან მათთვის საყვარელ საქმიანობას, ეცნობიან გენიალური მხატვრების ნამუშევრებს, მსჯელობენ და თავადაც ქმნიან საინტერესო ნიმუშებს.

27-28 იანვარს, ტრენინგმა - მარიამ გოგინაშვილმა ჩაატარა ტრენინგი თემაზე - „საჯარო გამოსვლის ხელოვნება და ეფექტური კომუნიკაცია“. ტრენინგს ესწრებოდა 24 ახალგაზრდა, ქ. ბათუმის საჯარო და კერძო სკოლებიდან. ტრენინგის მონაწილეებს გადაეცათ მონაწილეობის დამადასტურებელი სერიფიკატები;

10-11 თებერვალს ტრენინგმა მარეხ ყურმაშვილმა ჩაატარა ტრენინგი თემაზე - პროექტების წერა და მართვა (როგორ დავწეროთ სწორად პროექტი) ტრენინგს ესწრებოდა 20 ახალგაზრდა, ქ. ბათუმის საჯარო და კერძო სკოლებიდან. ტრენინგის მონაწილეებს გადაეცათ მონაწილეობის დამადასტურებელი სერტიფიკატები.

ღონისძიება „ახალგაზრდა სპიკერთა პლატფორმა/The Young Speakers' Platform“, 12-დან 25 წლამდე, ახალგაზრდა პოტენციურ სპიკერთა გაერთიანება, რომლის მიზანია ბათუმის მასშტაბით მოტივირებული, მოაზროვნე ახალგაზრდების, სპეციალურად შექმნილი პლატფორმიდან

საკუთარი საინტერესო, კრეატიული, განსხვავებული აზრების, იდეების, შეხედულებების, გამოცდილების გაზიარება ფართო აუდიენციაში.

6 იანვარს გაიმართა სამუშაო შეხვედრა მნიშვნელოვანი თემატიკის ირგვლივ, როგორცაა - „საჯარო გამოსვლების ხელოვნება“; „ეფექტური კომუნიკაცია“ „ვერბალური და არავერბალური კომუნიკაცია“, „ეფექტური და ეფექტიანი სპიკერი“.

9 იანვარს „დელირიაში“ გაიმართა ახალგაზრდა სპიკერთა პლატფორმის N3 ფორუმი „მე ვარ სპიკერი-ეფექტური და ეფექტიანი“. ჟიურიში მოწვეულნი იყვნენ აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს წევრი ცოტნე ანანიძე და ა(ა) იპ „სამოქალაქო საზოგადოებს ინსტიტუტის“ ბათუმის ფილიალის ხელმძღვანელი - ნათია აფხაზავა; კომპანია „მარდი ჰოლდინგის“ აღმასრულებელი დირექტორი - ნათია სირაბიძე.

10 იანვარს ახალგაზრდული ცენტრის ადმინისტრაციულ შენობაში გაიმართა ახალგაზრდა სპიკერთა პლატფორმის N4 ფორუმი „თანამედროვე გამოწვევები განათლების სისტემაში“. ჟიურიში მოწვეული იყო აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი ქალბატონი-ინგა შამილიშვილი; აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, განათლების დეპარტამენტის უფროსი ნაზიბროლა ბერიძე; აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს, საზოგადოებასთან ურთიერთობის, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და პროტოკოლის დეპარტამენტის უფროსი სპეციალისტი - სულხან დუმბაძე.

17 იანვარს ახალგაზრდები შეხვდნენ გადაცემა „პროექციის“ ავტორსა და წამყვანს ზვიად სირაბიძეს.

11 თებერვალს ღონისძიების ფინალური ფორუმ-ფესტივალი გაიმართა შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში (ესწრებოდა 300 ახალგაზრდა!!!), რომლის დროსაც გამოვლინდნენ გამარჯვებულები, მათ შორის, ბათუმის მასშტაბით შერჩეული 12 ახალგაზრდა სპიკერიდან-1 საუკეთესო სპიკერი, რომელთაც გადაეცათ პარტნიორი თუ მხარდამჭერი სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებისაგან დაწესებული სხვადასხვა პრიზები.

- **პროგრამა** „სპორტის განვითარების ხელშეწყობა“

ღონისძიების „წლის წარმატებულ სპორტსმენები“ ფარგლებში, მუნიციპალური სპორტული კლუბებიდან მიღებული „სპორტსმენთა წარდგინებების“ გათვალისწინებით დაჯილდოვდნენ წარმატებული ბათუმელი ახალგაზრდა სპორტსმენები, ჯამში 18 სპორტსმენი. გამოვლინდა „წლის საუკეთესო“ და „წლის წარმატებული“ კლუბი.

წერილობითი მიმართვის საფუძველზე, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფუძნებულ სპორტულ კლუბებსა და ა(ა)იპ ქ. ბათუმის სპორტული ცენტრის“ ადმინისტრაციას განემარტათ, მათ ბაზაზე მყოფი ასაკობრივი ჯგუფების ელექტრონული რეგისტრაციის გავლის აუცილებლობის შესახებ და თანდართული დოკუმენტაციის სახით მიეწოდათ განყოფილების მიერ შემუშავებული რეგისტრაციის გავლისათვის აუცილებელ დოკუმენტთა ნუსხა, ხოლო იანვრის თვეში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის აპარატის საქმისწარმოების განყოფილებაში დაიწყო მუნიციპალურ სპორტულ კლუბებში ბავშვთა ასაკობრივი ჯგუფების მიერ, რეგისტრაციის გავლა, განაცხადისა და მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე. შემოსული განაცხადების რეესტრს აწარმოებს სპორტისა და ახალგაზრდობის განყოფილება. დღეისათვის შემოსულია 170 განაცხადი, შემოწმებული და დაარქივებულია მათ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, გაკეთებულია რეესტრი, ყველა ძირითადი მონაცემების მითითებით.

შპს სარაგბო კლუბმა „ბათუმმა“ წარმატებით იასპარეხეს „ჩელენჯ კაპის“ ტურნირში (პირველი ქართული კლუბია, რომელმაც მიაღწია ამ შედეგს).



მიმდინარე წლის იანვრის თვე წარმატებული გამოდგა აგრეთვე ა(ა)იპ ბათუმის საცხენოსნო კლუბისთვის. მიმდინარე წლის 30 იანვარს ქ. თბილისში „მარდონ ლაბაშიას სახელობის თასის“ დაბრკოლებთა გადალახვაში 18 წლის ასაკამდე ჭაბუკთა შორის, კლუბის სახელით იასპარეზა სპორტსმენმა ნიკა ხაბაძემ (12 წლის ახალგაზრდა სპორტსმენი), რომელმაც ქვეყნის მასშტაბით მეორე საპრიზო ადგილი მოიპოვა, ხოლო პირველი ადგილი აიღო დასავლეთ საქართველოს ცხენოსნობის ტურნირში.

- **განათლებისა და კულტურის მიმართულებით**

25 ოქტომბერი - 30 ნოემბერი. პროექტი „მხოლოდ ჩვენ სხვა დრო წამოგვეწია“ განხორციელდა საქართველოს მწერალთა კავშირის დაარსებიდან 100 წლის და 1937 წლის რეპრესიებიდან 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით. ღონისძიებაზე გაიხსენეს ის ადამიანებს, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს მე-20 საუკუნის ქართული ლიტერატურის განვითარების საქმეში. მოეწყო გამოფენა და გადაღებულ იქნა დოკუმენტური ფილმი.

1 - 14 დეკემბერი. პროექტის „თოჯინები იცინიან“ ფარგლებში ბათუმის საბავშვო ბაღებში გაიმართა თეატრალური წარმოდგენები.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთა ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროცესში ჩართვისა და ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობის ხელშეწყობის მიზნით, შემუშავდა ახალი პროგრამა „ზოგადი განათლების ხელშეწყობა“/ქვეპროგრამას „ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა“. პროგრამის ბიუჯეტი - 10 266 ლარი. პროგრამა ითვალისწინებს, 2018 წელს, 174 სასწავლო დღის განმავლობაში, ქ. ბათუმის ტერიტორიაზე მცხოვრები ქ. ბათუმის N13 საჯარო სკოლის 10 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ტრანსპორტით უზრუნველყოფას (სსიპ ქალაქ ბათუმის N13 საჯარო სკოლამდე მისვლა და შინ დაბრუნება).

- **ა(ა)იპ აკაკი წერეთლის სახელობის ქალაქ ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკაში ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები:**

ნოემბერი:

- ტერენტი გრანელის დაბადებიდან 120 წლისადმი მიძღვნილი საღამო;
- საუბარი „ამერიკული ხელოვნება“;
- მადლიერების დღე;
- საუბარი ძველ და ახალ თაობას შორის ლექსებით;
- ანტუან დე სენტ - ეგზიუპერის ნოველის „პატარა პრინცის“ მიხედვით ლიტერატურული საღამო.

დეკემბერი:

- ასტრიდ ლინდგრენის დაბადებიდან 110 წლისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო;
- ოთარ გაგუას დაბადებიდან 90 წლისადმი მიძღვნილი საღამო;
- მსოფლიო ხალხთა პოეზიის საღამო;
- ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადებიდან 200 წლისადმი მიძღვნილი საღამო;
- შეხვედრა ხათუნა გოგბაძესთან და წიგნის „ჩემი თოვლის ბაბუა“ წარდგენა;
- ნორჩ მკითხველებთან საახალწლო მეჯლისი - კარნავალი;
- „ამერიკული კუთხის“ ერთგულ მკითხველებთან საახალწლო ზეიმი - კარნავალი.

თებერვალი:

- წიგნის საერთაშორისო კითხვის დღე;
- წმ. ვალენტინის დღისადმი მიძღვნილი საღამო;
- პოეზიის საღამო „ლექსების აკიდო ყველაზე პატარებისთვის“;
- ოთარ წულუკიძის წიგნის „ჟამთა წუხილი“ წარდგენა.

• ა(ა)იპ კულტურის ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა ქალაქის საახალწლო გასართობი ღონისძიებები, რომელიც დაიწყო 2017 წლის 25 დეკემბერს და 2018 წლის 2 იანვრის ჩათვლით მიმდინარეობდა. ყოველდღიურად ევროპის მოედანზე სპეციალურად მორთულ სცენაზე იმართებოდა საბავშვო და ბათუმელი ბენდების კონცერტები, საცირკო და აკრობატული წარმოდგენები, სხვადასხვა გასართობი შოუ პროგრამები. 31 დეკემბერს გაიმართა გალა კონცერტი რომელშიც მონაწილეობდნენ ჯგუფი მგზავრები და ბათუმელი შემსრულებლები. 2 იანვარს კი ჯგუფი გამოუვალი მდგომარეობის კონცერტი გაიმართა. საახალწლო ღონისძიების ფარგლებში ბათუმის 21 უბანში (ახალი წელი შენს ეზოში) შედიოდა საახალწლოდ მორთული დიდი სატვირთო მანქანა და ბავშვებისათვის სპეციალურ გასართობ პროგრამას ატარებდნენ ანიმატორები, ბავშვებს დაურიგდათ ბუშტები და ტკბილეული.

კულტურის ცენტრის შემოქმედებითი კოლექტივები, გარდა ქვეპროგრამით გათვალისწინებული ღირსშესანიშნავი თარიღებისა და ღონისძიებებისა, მონაწილეობას ღებულობენ ქალაქში მიმდინარე სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებსა და აქტივობებში, კერძოდ:

- 3 ნოემბერი – ბათუმის ბოტანიკური ბაღის 130 წლისთავისადმი მიძღვნილ კონცერტში, რომელიც ბათუმის მუსიკალურ ცენტრში გაიმართა, მონაწილეობა მიიღო ცენტრის ვოკალურმა და ქორეოგრაფიულმა ანსამბლებმა;
- 12 ნოემბერი - სასტუმრო ჰილტონში ქ. ბათუმის მერის მიერ ჩატარებულ დარბაზობაზე მონაწილეობა მიიღო სიმებიანი კვარტეტმა;
- 13 დეკემბერი – ვაჟთა ხალხური სიმღერის ანსამბლის მონაწილეობა სასტუმრო ინტურისტში, კონცერტი მოეწყო პირველი სამედიცინო ტურიზმის კონფერენციის მონაწილეთათვის;
- 21 დეკემბერი – სიმებიანი კვარტეტის კონცერტი ბათუმელი სპორტსმენების დაჯილდოვების ცერემონიაზე სასტუმრო „ჰილტონში“;
- 24 დეკემბერი – სიმებიანი კვარტეტის კონცერტი მიძღვნილი ახერბაიჯანის ერთიანობის დღისადმი;
- 25 დეკემბერი – საახალწლო ღონისძიებების ფარგლებში, ევროპის მოედანზე ჩატარდა ჯაზ ბიგ-ბენდის კონცერტი, ხოლო 30 დეკემბერს ჯგუფი „ჯეოპლანეტის“ კონცერტი;
- 16 იანვარი - ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტში მოეწყო სიმებიანი კვარტეტის მასტერ კლასი;
- 2 თებერვალი - ბათუმის მუსიკალურ ცენტრში ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა წარმოადგინა საკონცერტო პროგრამა ნუგზარ შალიკაშვილის საიუბილეო საღამოზე;
- 16 თებერვალი – ვაჟთა ვოკალურმა ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო ავღანეთში დაღუპულ მეომართა მემორიალის დადგმის ცერემონიაზე.

თითოეული ეთნიკური უმცირესობები მუნიციპალური ბიუჯეტიდან ფინანსდება 7 000 ლარით, რომელიც ერთობლივი ღონისძიებების მოწყობას მოხმარდება. აღინიშნება თითოეული ქვეყნების დღესასწაულები, ეთნიკური უმცირესობების გამორჩეული პიროვნებების ღვაწლის წარმოჩინებით. 2017 წლის ბოლოს, კონკრეტულად კი ნოემბრის თვის ბოლოდან დღემდე მეგობრობის სახლში გაწევრიანებული დიასპორების მიერ მოეწყო და დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები:

- 16 ნოემბერი - ტოლერანტობის საერთაშორისო დღე, ამ დღის აღსანიშნავად უკრაინული დიასპორის წარმომადგენლების მიერ მოხდა სათნოების სახლის მოხუცების მონახულება და მათთვის საჩუქრების გადაცემა, ასევე შშმ პირების სარეაბილიტაციო ცენტრი ‘თანა’-ს ბავშვების ნონახულება და მათთვის გასართობი პროგრამის მომზადება;
- 26 ნოემბერი – ბერძენთა ახალგაზრდებისათვის საექსკურსიო ტურის მოწყობა – ტური მოიცავს ქართულ-ისტორიული ძეგლების მონახულებას ჭიათურა, კაცხის სვეტი და ტაძარი, შიო მღვიმელის მონასტერი, აკაკი წერეთლის სახლ-მუზეუმი საჩხერეში);

- 12 დეკემბერი – პოეტ ტარიელ ცხვარაძის 60 წლის იუბილე. საღამო ჩატარდა მწერალთა კავშირის შენობაში. პოეტისათვის შეძენილ იქნა სამახსოვრო სუვენირები;
- 24 დეკემბერი – ქართველთა და აზერბაიჯანელთა აჭარის საქველმოქმედო საზოგადოების" მიერ მსოფლიოს აზერბაიჯანელთა სოლიდარობის დღესთან დაკავშირებით გაიმართა სადღესასწაულო საღამო;
- 26 დეკემბერი – მეგობრობის სახლში რუსული დიასპორის მიერ ორგანიზებულ იქნა საახალწლო–სადღესასწაულო ღონისძიების ფარგლებში მუსიკალურ–ლიტერატურული საღამო. გაიმართა მხიარული კონკურსები და ვიქტორინა;
- დეკემბერი – იეზიდთა კავშირის მიერ დაფინანსდა რელიგიური დღესასწაული 'აიდო ეზიდი', აღნიშნული დღესასწაულის ფარგლებში თითოეული ოჯახი ამზადებს სადღესასწაულო კერძებს, რომლისთვისაც შეძენილი იქნა სასურსათე პროდუქტები;
- 23 დეკემბერი – უკრაინული დიასპორის მიერ მეგობრობის სახლში მოეწყო საახალწლო კარნავალი, მოეწყო ასევე ნახატების კონკურსი. შეძენილ იქნა სხვადასხვა საჩუქრები და საკანცელარიო ნივთები;
- 24 დეკემბერი - აჭარის სომეხთა კავშირის მიერ ჩატარდა სომეხთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საღამო, ასევე ამ დღეს აღინიშნა ეთნიკური უმცირესობების საფეხბურთო კლუბ 'ასპიური'-ს დაარსების 4 წლისთავი. ღონისძიების ფარგლებში მოხდა ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისთვის სუვენირებისა და საჩუქრების გადაცემა, საღამოს დასკვნითი ნაწილი ფურშეტით დასრულდა;
- 25 დეკემბერი – საახალწლო დღესასწაულთან დაკავშირებით, თურქული ეთნიკური უმცირესობების ხელმოკლე ოჯახებისათვის შეძენილი სასაჩუქრე ნობათი (საკვები პროდუქტები);
- 18-25 დეკემბერი – მეგობრობის სახლში გაწვერიანებული ეთნიკური უმცირესობების მოთხოვნის საფუძველზე (რუსული, იეზიდური, უკრაინული, ბერძნული, თურქული, აზერბაიჯანული) გამოცხადდა ტენდერი საბავშვო გასართობი ღონისძიებების ორგანიზებაზე, რომლის ფარგლებშიც გაიმართა საახალწლო გასართობი შოუ პროგრამა პატარებისათვის გასართობ ცენტრში - ბერიკებში. ბავშვებს გადაეცათა საახალწლო ტკბილეულის ნაკრები (საჩუქარი);
- 28 დეკემბერი – აჭარაში მოქმედი 9 ეთნიკური უმცირესობების მიერ შედგა საახალწლო შეხვედრა, სადაც მოწვეული იყვნენ მთავრობის წარმომადგენლები და საპატიო სტუმრები. თითოეული ეთნიკური უმცირესობების მიერ წარმოდგენილი იქნა საკონცერტო ნომერი;
- მიმდინარე წლის 14 თებერვალს სომხებმა აღნიშნეს „სურბ სარქისის“ დღესასწაული. ღონისძიებისთვის სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულზე შესყიდულ იქნა სუვენირები და საჩუქრები. აღნიშნული ღონისძიება რესტორან „პორტო ფრანკოში“ ჩატარდა, რომელიც საზეიმო ვახშამით დასრულდა;
- თებერვლის თვეში დაიწყო გერმანული ენის შემსწავლელი კურსების ჩატარების უზრუნველყოფა, გერმანელთა ასოციაციის წევრების მოთხოვნის საფუძველზე. აღნიშნულზე გაფორმებულია ხელშეკრულება პედაგოგთან 15 თებერვლიდან 15 ივნისის ჩათვლით.